

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

დასკვნა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

განსახილველი კანონპროექტით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება დადებითად უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვებში დღეს არსებულ მდგომარეობაზე. საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით არაერთი კრიტიკული მოსაზრება გამოთქმულა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად მომზადებულ ანგარიშებსა და დასკვნებში. შესაბამისად, პოზიტიურად უნდა შეფასდეს გამოვლენილი დარღვევებისა და გადაცდომების აღმოფხვრისკენ მიმართული კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი რეგულაციები. ამასთან, უნდა აღინიშნოს ქვემოთმოყვანილი რისკვაქტორები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს კანონპროექტის ავტორთა და ინიციატორთა მიზნის სრულფასოვნად მიღწევას:

1. პროპორციული და არადისკრიმინაციული მიდგომის ზოგადი ბუნება –

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული უმთავრესი პრობლემა, რასაც რეგულარულად მიუთითებდა ჩვენი სამსახური, არის შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ტენდერებში მონაწილეობის მსურველთა მიმართ არაპროპორციული, არათანაბარი და დისკრიმინაციული მიდგომა. აღნიშნული ხშირად გამოწვეულია არასათანადო ბაზრის მოკვლევით, შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების სამსახურის არასათანადო კვალიფიკაციითა და სათანადო მარეგულირებელი ნორმებისა თუ სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელოების არარსებობით (რაც უზრუნველყოფდა ზემოხსენებული პრინციპების დაცვას სახელმწიფოს მასშტაბით). აღნიშნული პრობლემა ხელს უშლის ჯანსაღ კონკურენციას, რაც, თავის მხრივ, შედეგად იწვევს საბიუჯეტო სახსრებით იგივე ან უფრო დაბალი ხარისხის საქონლისა თუ მომსახურების უფრო ძვირად შეძენას.

კანონში პროპორციულობის ცნების შემოტანით შესაძლებელია შესყიდვის მონაწილეებისთვის ხელოვნური ბარიერებისა და შემზღველი გარემოებების შემცირება, რაც დადებითად უნდა აისახოს შესყიდვების განხორციელებისას კონკურენტული გარემოს შექმნასა და საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურ განკარგვაზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ეს ცვლილება არ იქნება საკმარისი სასურველი შედეგის მისაღწევად. პრობლემად რჩება დღეს არსებული თუ ცვლილებით გათვალისწინებული მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის რედაქციის ზოგადი, დეფინიციური ხასიათი. შესყიდვები უნდა ხორციელდებოდეს პროპორციული და არადისკრიმინაციული პრინციპით – ეს უდაოა,

მაგრამ სად გადის ზღვარი პროპორციულობისა და როგორ უნდა დაიცვან ეს პრინციპი შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, არ არის ნათელი. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში უდიდესი როლი ეკისრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. იგი უფლებამოსილია შეიმუშაოს და ამოქმედოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელოები. სატენდერო მოთხოვნათა ჩამოყალიბებისას, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა გარკვევით უნდა იცოდნენ კრიტერიუმები და კონკრეტული ზღვრები/ჩარჩოები (პრეტენდენტთა შესაბამისი გამოცდილება; მიწოდების ვადები; საგარანტიო თანხის შესატყვისობა შესყიდვის ფასთან და სხვა მსგავსი), რომელთა გათვალისწინებაც შესაძლებელს და გარდაუვალს გახდის პროპორციულობისა და არადისკრიმინაციული პრინციპის დაცვას. მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებები გაითვალისწინებდა აღნიშნულ გარემოებას და თავად მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში ან/და კანონის გარდამავალ დებულებებში გააკეთებდა დათქმას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სათანადო აქტების შემუშავებისა და ამოქმედების თაობაზე.

2. 5000 ლარიანი მონეტარული ზღვრის დარღვევა –

სახელმწიფო შესყიდვების ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს 5 000 ლარიანი მონეტარული ზღვრის (გამარტივებულ შესყიდვასა და ელექტრონულ ტენდერს შორის მონეტარული ზღვარი) დარღვევა. შემსყიდველები ცდილობენ თავი აარიდონ კანონით გათვალისწინებულ სატენდერო პროცედურებს და პირდაპირი წესით განახორციელონ შესყიდვები. გართულებული და დროში გაწელილი პროცედურებისგან თავის არიდების ცდუნება იზრდება, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი რეგულაცია 3 დღის ნაცვლად მინიმუმ 7 დღეს ითვალისწინებს ელექტრონული ტენდერის ჩასატარებლად. ახალი რეგულაციის ამოქმედებით იზრდება რისკი, შესყიდვის ხელოვნურად დაყოფით ან ფასის შემცირებით კანონის დარღვევისა. მონეტარული ზღვარის უგულვებელყოფა კანონის მოქმედი რედაქციით უკვე წარმოადგენს კანონდარღვევას და შესატანი ცვლილება არ ეხება ამ რეგულაციას. თუმცა პრობლემა არსებობს და მისი გაზრდის რისკიც სახეზეა. პრობლემის მასშტაბურობას ნათლად წარმოადგენს ქვემოთმოყვანილ დიაგრამაზე ასახული შემდეგი გარემოება – სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ეფექტიანობის აუდიტის შედეგად გამოვლენილი იქნა 5 000 ლარიანი მონეტარული ზღვრის დარღვევის წლების მანძილზე მზარდი ტენდენცია; მხოლოდ 2015 წელს 1500-მდე შემთხვევაა გამოვლენილი მონეტარული ზღვარის დარღვევისა. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში თავს იყრის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის შესყიდვის გეგმა და ინფორმაცია ფაქტობრივად განხორციელებული შესყიდვების თაობაზე, პრობლემის მოგვარების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება სააგენტომ, სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებებთან კოოპერაციაში, დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა ქმედითი ღონისძიებები.

გამარტივებული შესყიდვის მონეტარული ზღვარი 5000 ლარამდე

